სახელმწიფო შესყიდვების
ხელშეკრულება №50-281220-01

ქ. თბილისი **28 დეკემბერი 2020 წ.**

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის იმედა კახიანის სახით, და

მეორეს მხრივ, შპს „სინტაქსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის, ზაზა ჯაველიძის სახით,

„სახელმწიფო შესყივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, ელექტრონული ფოსტის მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV72412000).

1.2. მომსახურების დასახელება, მოცულობა და ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში (ფასების ცხრილი) და დანართ №2-ში (ტექნიკური დავალება), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

2.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია, გაუწიოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განახორციელება უზრუნველყოს ყოველდღიურად, 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დანართი №1-ით (ფასების ცხრილი) და დანართი №2-ით (ტექნიკური დავალება) განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

3.3. მომსახურების განსახორციელებლად დანართი №1-ით (ფასების ცხრილი) და დანართი №2-ით (ტექნიკური დავალება) განსაზღვრული მომხმარებლების რაოდენობა (არაუმეტეს 25) არის სავარაუდო და შესაბამისად შემსყიდველს მისი სრულად ათვისებისა და ანგარიშსწორების ვალდებულება არ წარმოეშვება; მომხმარებლების რაოდენობას განსაზღვრავს შემსყიდველი.

4. მომსახურების ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

5.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3900,00 (სამი ათას ცხრაასი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის მიწოდებასთან, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს, დღგ-ს ჩათვლით.

5.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტებია:

- მიღება-ჩაბარების აქტი (ორმხრივად ხელმოწერილი);
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეტაპობრივად, ყოველთვიურად, ფაქტიურად არსებული რაოდენობის მომხმარებლებზე გაწეული მომსახურების შესაბამისად, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე (იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს). მხარეთა შორის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების დროულად (საანგარიშო თვის მომდევნო თვის

14 რიცხვამდე) გაუფორმებლობის/წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გაფორმებიდან/წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. თუ მომსახურების მიწოდება განხორციელდება არასრულ თვეზე, მაშინ ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშდება მომსახურებაგაწეულ დღეთა პროპორციულად.

6. პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირველ და მე-4 მუხლებში მითითებულ კრიტერიუმებს.

6.1.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6.1. მუხლში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისი მომსახურების გაწევას შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა, შემსყიდველისაგან პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა უნდა გადაიხადოს.

6.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.3. არაჯეროვანი მომსახურების გაწევის შედეგად შემსყიდველისთვის, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5. მომსახურების გაწევის დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.6 მიმწოდებლის მიერ ხელშერულების შეწყვეტის/მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6.7. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, საქართველოს სამოქლაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

6.8. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. კონფიდენციალურობა

8.1. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ყველა მასალა და ინფორმაცია, რომელსაც მიმწოდებელი მოიპოვებს შემსყიდველისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით არის შემსყიდველის კონფიდენციალური ინფორმაცია (შემდგომში „კონფიდენციალური ინფორმაცია“). ამ მუხლით განსაზღვრული მიმწოდებლის მოვალეობები არ ვრცელდება ისეთ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, რომელიც: 1. მიმწოდებლის ქმედებების დამოუკიდებლად გასაჯაროვდება; 2. შემსყიდველის მიერ გადაცემულია მესამე პირებზე, ამ უკანასკნელთა შეზღუდვის გარეშე; 3. გაზიარებულია შემსყიდველის წერილობითი თანხმობით.

8.2. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია წარმოადგენს შემსყიდველის კერძო საკუთრებას. მიმწოდებელი აცხადებს თანხმობას, იმაზე რომ ამგვარი ინფორმაციის გაზიარება მესამე პირებზე, ან მესამე პირების მიმართ მისი გამოყენება, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ან მისი

შეწყვეტის შემდგომ მიაყენებს შემსყიდველს გამოუსწორებელ ზიანს. მიმწოდებელი თანახმაა მიიღოს ყველა ზომა კონფიდენციალური ინფორმაციის უმკაცრესი წესით შენახვის მიზნით, არ გამოიყენოს იგი სხვა მიზნებისთვის, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მიმწოდებლის ბრალეულობა კონფიდენციალური ან შემსყიდველის საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის გამჟღავნებაში, შემსყიდველს თავისი შეხედულებისამებრ უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს ზიანის სრული ანაზღაურება, რომელიც შემსყიდველმა განიცადა აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენების შედეგად.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს/ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომელი/პირი, რომლის ფუნქციებია:
9.2. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
9.2.1. გასაწევი/გაწეული მომსახურების რაოდენობის/მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
9.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
9.3. ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
10.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
10.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა
12.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
12.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მეორე მხარისათვის არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:
ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;
ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;
გ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
12.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

13. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი
13.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.
13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. დასკვნითი დებულებები
14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის ელ. ფოსტა - public@ggsc.ge; j.guraspishvili@ggsc.ge; მიმწოდებლის ელ. ეფოსტა - zaza.javelidze@syntax.ge) მეშვეობით.
14.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“ **შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“** მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ: 224-40-40 ს/კ 406260530 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE22TB7769336020100004 **გენერალური დირექტორი** ი. კახიანი	**„მიმწოდებელი“** **შპს „სინტაქსი“** მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის №164 ტელ: 591212200 ს/კ: 405114790 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE73TB7152036080100007 **დირექტორი** ზ. ჯაველიძე

Georgian Gas Storage Company LLC
Digitally signed by Georgian Gas Storage Company LLC
Date: 2020.12.28 12:58:11 +04'00'

დანართი №1 - ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომხმარებლის სავარაუდო რაოდენობა	ერთი მომხმარებლის ერთი თვის მომსახურების ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	25 მომხმარებლის მომსახურების ღირებულება 12 თვის განმავლობაში (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)
1	2	3	4	5
1	ელექტრონული ფოსტის მომსახურება (Office 365 Business Essentials)	25	13.00	3900,00

ელექტრონული ფოსტის მომსახურების
ტექნიკური დავალება

მომხმარებლების სავარაუდო რაოდენობა: 25 მომხმარებელი. მომხმარებელების რაოდენობა არის სავარაუდო და შესაბამისად შემსყიდველს მისი სრულად ათვისებისა და ანგარიშსწორების ვალდებულება არ წარმოეშვება; შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მომხმარებლების რაოდენობის მატება, მაგრამ არაუმეტეს 25 მომხმარებლისა; შემსყიდველს ასევე უფლება აქვს დააკლოს მომხმარებელი.

უსაფრთხოება: ელექტრონული ფოსტის სერვისის გარანტირებული 99.9% მუშა მდგომარეობა (Uptime). სპამ ფილტრი, ანტივირუსი, POP3S, SMTPS, SSL/TLS, ავტომატური სარეზერვო კოპირება, კონფიდენციალობა, 24/7 მხარდაჭერა(Support).

ბიზნეს ელექტრონული სახელი: ბიზნეს სახელით სარგებლობა მაგ: (ჩემიმომხმარებელი@ggsc.ge). ფსევდონიმების და ჯგუფების შექმნის საშუალება მაგ: (ჩემიფსევდონიმი@ggsc.ge, ჩემიჯგუფი@ggsc.ge).

დოკუმენტებთან მუშაობის უნარები: ტექსტური დოკუმენტების, ცხრილების, პრეზენტაციების შექმნა, რედაქტირება და გაზიარება. მინიმუმ სამი მომხმარებლის ერთ ფაილზე ერთდროული მუშაობის შესაძლებლობა.

ადმინისტრირება და "აუთენთიფიკაცია": ვებ ბრაუზერით „ადმინ პანელიდან" მომხმარებლების დამატება, წაშლა და რედაქტირება. მოწყობილობების მართვა და კონფიგურაცია, 2-ნაბიჯიანი გადამოწმება (2-step verification), SSO(Single sign-on).

"Inbox" სივრცე: მინიმუმ თითოეულ მომხმარებელზე 30 GB.

ღრუბლოვანი სივრცე: მინიმუმ თითოეულ მომხმარებელზე 1TB (მაგალითად როგორიცაა: Onedrive, Gdrive, Dropbox).

ვიდეო კონფერენცია: 25 მომხმარებლის ერთდროული ვიდეო კონფერენციის შესაძლებლობა.

ელ. ფოსტის სხვადასხვა ფუნქციები: ვებ ბრაუზერით ელ. ფოსტაზე წვდომა, კალენდარი და კონტაქტები, დავალებები და შეხსენებები (Tasks and Reminders), არქივი (ძველი გამოუყენებელი წერილების არქივში გადატანის საშუალება).

მიმწოდებელმა, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მომხმარებლის დამატება უნდა განახორციელოს შემსყიდველის მიერ მისთვის (მიმწოდებლისათვის) გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ასევე, მიმწოდებელმა, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მომხმარებლის გაუქმება უნდა განახორციელოს შემსყიდველის მიერ მისთვის (მიმწოდებლისათვის) გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.